გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 33

2022 წლის 11 თებერვალი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2022-2026 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

2018 წელს თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა „თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული სტრატეგია 2018-2020“, რომლის განხორციელების შემდეგაც დადგა მისი განახლების საჭიროება. ახალი სტრატეგია მომზადდა გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. სტრატეგია მომზადდა თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობლივი კომისიის, ა(ა)იპ „ლიდერთა ლიგის“, ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანების, World Vision საქართველოს, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, საერთაშორისო პროექტ “FID”, ა(ა)იპ „ევროპელ ინიციატორთა გაერთიანება“-ს, ა(ა)იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“-ს პარტნიორობის საფუძველზე, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდულ საკითხებზე ორიენტირებული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, თვითმმართველ თემში მცხოვრები/მოღვაწე სხვა დაინტერესებული პირები და მხარეები. დოკუმენტის შექმნის ყველა ეტაპზე, აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაინტერესებეული ახალგაზრდები. სტრატეგია ეფუძნება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“ მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის სააგენტოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ კვლევას და უკვე არსებული მეორადი მონაცემების ანალიზს, ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და იდეებს. სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს ან შესაძლებელია, რომ იყოს ახალგაზრდობის მდგომარეობა მუნიციპალიტეტში; მიზნებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ხედვის განხორციელებას; თითოეული მიზნისთვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები - თითოეული ამოცანის მისაღწევად, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერსა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2022-2026 წლების სტრატეგია“, ხოლო „გორის მუნიციპალიტეტის ახლაგაზრდული სტრატეგიის 2019-2028 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №177 განკარგულება გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2022-2026 წლების სტრატეგია“ დანართი № 1 -ის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გორის მუნიციპალიტეტის ახლაგაზრდული სტრატეგიის 2019-2028 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №177 განკარგულება.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

დანართი № 1

გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2022-2026 წლების სტრატეგია

1. შესავალი

„გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების 2022-2026 წლების სტრატეგიის" (შემდგომში „სტრატეგია") მიზანია, მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვას, მიწოდებას და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 5 წლის განმავლობაში. სტრატეგიის მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასში გათვალისწინებული რესურსები, სერვისები და პროგრამები ფოკუსირებული იყოს ბავშვებზეც სასკოლო ასაკიდან.

„ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში."[1]

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი სერვისიც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. სტრატეგია ემსახურება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალგაზრდული საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურად მართვას.

2. ზოგადი ინფორმაცია დოკუმენტის შესახებ

სტრატეგია მომზადდა თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობლივი კომისიის, ა(ა)იპ „ლიდერთა ლიგის",

[1] 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია (ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0

ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანების, World Vision საქართველოს, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, საერთაშორისო პროექტ "FID", ა(ა)იპ „ევროპელ ინიციატორთა გაერთიანება"-ს, ა(ა)იპ „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი"-ს პარტნიორობის საფუძველზე, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდულ საკითხებზე ორიენტირებული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, თვითმმართველ თემში მცხოვრები/მოღვაწე სხვა დაინტერესებული პირები და მხარეები. დოკუმენტის შექმნის ყველა ეტაპზე, აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაინეტრესებეული ახალგაზრდები.

მთავარი კონსულტანტი: დამოუკიდებელი ექსპერტი ახალგაზრდულ საკთხებში რატი ჭეიშვილი.

3. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტი შედგება 23 ადმინისტრაციული ერთეულისგან:

1. ქალაქი გორი: კვერნაქის დასახლება, ვერხვების დასახლება, წმინდაწყლის 1-ლი უბანი, წმინდაწყლის (ვოლოგდის) მე-2 უბანი, დევნილთა ჩასახლება, სადგური-ელექტროფიკაციის დასახლება, ჭალა-წყაროსუბნის დასახლება, კომბინატის დასახლების 1-ლი უბანი, კომბინატის დასახლების მე-2 უბანი, ცენტრალური დასახლების 1-ლი უბანი, ცენტრალური დასახლების მე-2 უბანი;
2. ბერბუკის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ბერბუკი, რეხა, სვენეთი, თორტიზა, ხელთუბანი);

3. კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: კარალეთი, დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი, სათბურის დასახლება);
4. შავშვების ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ქვემო შავშვები, შავშვები, ნაწრეტი, წითელუბანი, ნადარბაზევი, ხურვალეთი);
5. მეჯვრისხევის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მეჯვრისხევი, ზერტი, კვარხეთი);
6. მერეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მერეთი, კარბი, ქერე, კოშკა, გუგუტიაანთკარი, ზარდიაანთკარი);
7. სკრის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: სკრა, ბეთლემი, რიეთი, დიდი გორიჯვარი, პატარა გორიჯვარი, კოშკები);
8. ტირძნისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ტირძნისი, მეღვრეკისი, ერგნეთი, თერგვისი, ბროწლეთი);
9. დიცის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: დიცი, ქორდი, არბო);
10. ტინისხიდის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია სოფლები: ტინისხიდი, ორთაშენი, თედოწმინდა);
11. ვარიანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ვარიანი, ახალდაბა, საქაშეთი, არაშენდა, ვარიანის მეურნეობა);

12. ქვახვრელის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ქვახვრელი, უფლისციხე);
13. შინდისის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: შინდისი, ფხვენისი, ყელქცეული, ქვემო ხვითი);
14. ძევერის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ძევერა, ქიწნისი სათემო, შერთული);
15. ზეღდულეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ზეღდულეთი, ბერშუეთი, კირბალი, ზემო სობისი, ქვემო სობისი, ქვემო ახალსოფელი, ახალშენი);
16. ახალუბნის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ახალუბანი, ქვეში, ახრისი, აძვი, მუმლაანთკარი, ჯარიაშენი, ციცაგიაანთკარი, ქვემო არცევი);
17. ატენის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ატენი, წედისი, ბნავისი, ოლოზი, ღვარები, ხანდისი, იკვნევი, ზემო ქსოვრისი, ველები);
18. ნიქოზის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ქვემო ნიქოზი, ზემო ნიქოზი, ზემო ხვითი);
19. მღებრიანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მღებრიანი, პატარა წერეთი, დიდი წერეთი, ჭანჭახა, ოქიანი, დიდი ჭვარები, პატარა ჭვარები, პიტნარა, ბორცვანა, ტამი, სახორცე);
20. ბოშურის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ქვემო ბოშური, ზემო ბოშური, ბიისი, ბობნევი, ტუსრევი, ყველაანთუბანი, გაგლოაანთუბანი, ლევიტანა, ორმოცი, თხინალა, იფნარა);
21. საყავრის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: საყავრე, ფიცესი, ლული, გულხანდისი, დიდთავი, წითელი წყარო, ნადარბაზი, ზემო ახალსოფელი, ფელი);
22. ტყვიავის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ტყვიავი, ფლავი, ფლავისმანი, მარანა);
23. ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი: ხიდისთავი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს წარმოადგენს 26 სოფელი: არბო, აძვი, ახალუბანი, ბერშუეთი, გუგუტიაანთკარი, დიცი, ერგნეთი,ზარდიაანთკარი, ზემო ნიქოზი, ზემო ხვითი, კარბი, კირბალი, კოშკა, მერეთი, მეჯვრისხევი, წითელუბანი, ხურვალეთი, ფლავი, ფლავისმანი, ქერე, ქვემო ნიქოზი, ქვემო ხვითი, ქვეში, ქორდი, ციცაგიაანთკარი, ჯარიაშენი.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით[2], მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 125 692 ადამიანს შეადგენს, მათ შორის 25 771 ახალგაზრდაა (15-29 წლის). ახალგაზრდების წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში 21 %-ია:

გორის მუნიციპალიტეტი	125 692	100%
15-19	7 740	
20-24	8 953	
25-29	9 078	
15-29	25 771	21%

ახალგაზრდების უმრავლესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია და ისინი ახალგაზრდების 51 %-ს შეადგენენ.

4. პრინციპები

ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- ახალგაზრდების მონაწილეობა: ახალგაზრდებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება. შეუძლებელია პოზიტიური ცვლილებების მიღწევა მათ გარეშე, ვისაც ეს ცვლილებები ეხება. სტრატეგიის ხედვა, მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით შემუშავდა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი იდეებისა და უკუკავშირის გათვალისწინება დოკუმენტში. ახალგაზრდების ეფექტიანი მონაწილეობა გარანტირებული იქნება სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებშიც;
- ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა: სტრატეგიის განხორციელებისას მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები როგორც განვითარების, ისე კულტურის თვალსაზრისით, განსხვავდებიან ერთმანეთისგან და საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან და მათთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს მათი ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით;
- პარტნიორობა და თანამშრომლობა: სტრატეგია შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობისა და კონსულტაციების შედეგად. მათი აქტიური მონაწილეობა

[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მხარდაჭერილი იქნება მისი განხორციელების შემდგომ ეტაპებშიც, ვინაიდან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა და პრობლემათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით. სფეროში მოქმედი ყველა აქტორის ჩართულობა, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, ახალი კავშირების და პარტნიორობების დამყარება სტრატეგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია;

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მკტიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა ექვემდებარება შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და გადასინჯვას მაღალხარისხიანი კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე და იმ ახალგაზრდების შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პოლიტიკა;
- თანაბარი ხელმისაწვდომობა: სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთეებით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების არაორგანიზებული ჯგუფებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას;
- გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება: სტრატეგიისა და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სისტემების, პლატფორმების, სინერგიების და სერვისების შექმნაში.

5. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

2018 წელს თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა „თვითმმართველი თემი გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული სტრატეგია 2018-2020“, რომლის განხორციელების შემდეგაც დადგა მისი განახლების საჭიროება. ახალი სტრატეგია მომზადდა გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;
- სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;
- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესწავლა და სიტუაციური ანალიზი;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება;

- ახალგაზრდობის კვლევა გორის მუნიციპალიტეტში, რომელიც ჩატარდა ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და რომლის ფოკუსს წარმოადგენდა: ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება; ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა (იხ. დანართი 2[3]);
- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;
- სამუშაო შეხვედრები სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
- სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვები და დისკუსიები დოკუმენტის სრულყოფის მიზნით.

სტრატეგია ეფუძნება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას" მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის სააგენტოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ კვლევას და უკვე არსებული მეორადი მონაცემების ანალიზს, ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და იდეებს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა", რაც ითვალისწინებდა არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს ან შესაძლებელია, რომ იყოს ახალგაზრდობის მდგომარეობა მუნიციპალიტეტში; მიზნებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ხედვის განხორციელებას; თითოეული მიზნისთვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები - თითოეული ამოცანის მისაღწევად, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმას.

6. ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

---

[3] კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 602 ახალგაზრდა. კვლევის შედეგები არ არის (მუნიციპალიტეტის) წარმოამდგენლობითი. საბაზისო მაჩვენებელში მოცემულია გამოკითხული ახალგაზრდების პროცენტული განაწილება.

7. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

მიზანი 1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია

ამოცანები:

1.1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები;

1.2. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობები;

1.3. პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია;

1.4. ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონე გაზრდილია;

1.5. ახალგაზრდები იღებენ მხარდაჭერას ღირსეული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაში.

მიზანი 2. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი ცხოვრების და გართობის შესაძლებლობები

ამოცანები:

2.1. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარული და წახალისებულია ახალგაზრდებს შორის;

2.2. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების დონე ამაღლებულია;

2.3. ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია;

2.4. ახალგაზრდებს აქვთ ჯანსაღი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გართობისა და დასვენების შესაძლებლობები;

2.5. ხარისხიანი სპორტული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია.

მიზანი 3. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია

ამოცანები:

3.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;

3.2. ახალგაზრდებს აქვთ პროაქტიური წვდომა სრულყოფილ, ხარისხიან და სასარგებლო ინფორმაციასთან მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ;

3.3. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;

3.4. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამის მხარდაჭერას;

3.5. გაზრდილია ახალგაზრდების განათლების დონე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების შესახებ;

3.6. გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობებში;

3.7. გაზრდილია თანამშრომლობის ხარისხი ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან და ისინი აქტიურად არიან ჩართული სტრატეგიის განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობა განვითარებულია

ამოცანები:

4.1. შექმნილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები;

4.2. ახალგაზრდებისთვის გაზრდილია ხელმისაწვდომობა ხარისხიან ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებზე, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას;

4.3. ახალგაზრდებს აქვთ მობილობის აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობები;

4.4. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი გაძლიერებული და განვითარებულია.

მიზანი 5. ახალგაზრდები ცხოვრობენ უსაფრთხო, ინკლუზიურ და არაძალადობრივი გარემოში

ამოცანები:

5.1. მხარდაჭერილია სპეციალური საჭიროებების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობა;

5.2. მხარდაჭერილია ახალგაზრდების ცნობიერების დონის გაზრდა გენდერული თანასწორობის შესახებ;

5.3. მხარდაჭერილია ახალგაზრდებში არაძალადობრივი და უსაფრთხო კულტურის ჩამოყალიბება, ხოლო ის ახალგაზრდები, რომლებიც ძალადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ, უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მხარდაჭერით.

8. ლოგიკური ჩარჩო

მიზანი 1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 1. ახალგაზრდების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებულია	2026	ა) სიღარიბეში და სიღარიბის ზღვართან მცხოვრები ახალგაზრდების რაოდენობა		
	2026	ბ) დასაქმებული ახალგაზრდების რაოდენობა	16.8% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 1.1. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობები	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს	26.6% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 1.2. ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობები	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ ჩვეულებრივი ახალგაზრდისთვის დასაქმება მუნიციპალიტეტში რთულია (ძალიან რთული ან რთული)	17.1% 58.8% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ხანგრძლივი დროით (1 წელი და მეტი) უმუშევრების პროცენტული წილი იმ ახალგაზრდებში, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს	16.7% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 1.3. პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც პროფესიულ	42.0% 15.0% (ახალგ.	

ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია		განათლებაზე ხელმისაწვდომობას ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	კვლევა 2020)	
ამოცანა 1.4. ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონე გაზრდილია	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილი არიან მათი სამუშაოთი	25.5% 47.9% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) 18-29 წლის ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ფინანსურ დამოუკიდებლობას ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	61% 7.2% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 1.5. ახალგაზრდები იღებენ მხარდაჭერას ღირსეული საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაში	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც სათანადო საცხოვრებელი პირობების ქონას ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	44.4% 13.1% (ახალგ. კვლევა 2020)	

მიზანი 2. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი ცხოვრების და გართობის შესაძლებლობები

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 2. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი ცხოვრების და გართობის შესაძლებლობები	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ, დაკავებული არიან სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობებით (თითქმის ყოველდღე ან კვირაში 2-3-ჯერ)	24.8% 29.1% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 2.1. ცხოვრების ჯანსაღი წესი პოპულარული და წახალისებულია ახალგაზრდებს შორის	2026	ახალგაზრდების რაოდენობა (14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში), რომლებიც ასახელებენ, რომ მათი მეგობრებიდან არავინ მოიხმარს თამბაქოსა და ალკოჰოლს	46.2% 44.2% (ახალგ. კვლევა 2020)	

ამოცანა 2.2. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების დონე ამაღლებულია	2026	ა) მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში		
	2026	ბ) ადრეული ქორწინების შემთხვევები 15-19 წლის და 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფებში		
ამოცანა 2.3. ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც გასული 12 თვის განმავლობაში ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (ბევრჯერ, რამდენჯერმე ან ერთხელ)	6.6% 10.8% 4.8% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც გასული 12 თვის განმავლობაში ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ ფსიქოთერაპევტს (ბევრჯერ, რამდენჯერმე ან ერთხელ)	5.0% 5.1% 3.5% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 2.4. ახალგაზრდებს აქვთ ჯანსაღი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გართობისა და დასვენების შესაძლებლობები	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით	16.1% 1.8% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 2.5. ხარისხიანი სპორტული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის გაზრდილია	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ვარჯიშის, სპორტულ აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობას პრობლემურად ან ძალიან პრობლემურად აფასებენ	27.4% 17.6% (ახალგ. კვლევა 2020)	

მიზანი 3. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 3. ახალგაზრდების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დღის წესრიგში (გათვალისწინებულია ან სრულად გათვალისწინებულია)	34.2% 2.3% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 3.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც გასული 12 თვის განმავლობაში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტში მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა ან ინტენსიურად იყვნენ ჩართული)	19.6% 8.1% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მათი მონაწილეობის ხარისხს მაღალ შეფასებას აძლევენ (აქტიურად იყვნენ ჩართული ან გავლენას ახდენდნენ გადაწყვეტილების მიღებაზე)	34.4% 11.8% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 3.2. ახალგაზრდებს აქვთ პროაქტიური წვდომა სრულყოფილ, ხარისხიან	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ინფორმაციას მუნიციპალიტეტში	14.1% (ახალგ. კვლევა 2020)	

და სასარგებლო ინფორმაციასთან მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ		მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლებისგან იღებენ		
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საერთოდ ვერ იღებენ	3.3% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 3.3. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდილია	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ	26.9% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მაღალი სიხშირით იყვნენ დაკავებული მოხალისეობრივი საქმიანობით ბოლო 12 თვის განმავლობაში (კვირაში ერთხელ ან თვეში რამდენჯერმე)	17.6% 27.5% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 3.4. ახალგაზრდებს აქვთ საკუთარი იდეებისა და ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა და იღებენ შესაბამისს მხარდაჭერას	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ინიციატივის /პროექტის განსახორციელებლად	21.3% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტის	16.4% 43.8% (ახალგ. კვლევა 2020)	

		დახმარებით (ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილი)		
ამოცანა 3.5. გაზრდილია ახალგაზრდების განათლების დონე დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებების შესახებ	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ მათ სამოქალაქო აქტიურობას (ძალიან აქტიური ან აქტიური)	10.3% 24.9% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 3.6. გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობებში;	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი ან ძალიან კამყოფილი არიან მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებით	26.1% 2.2% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 3.7. გაზრდილია თანამშრომლობის ხარისხი ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან და ისინი აქტიურად არიან ჩართული სტრატეგიის განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში	2026	ფუნქციონირებს არასამთავრობო ახალგაზრდულ სექტორთან დიალოგის მუდმივმოქმედი პლატფორმა, ორგანიზაციები იღებენ მხარდაჭერას განვითარებისა და საქმიანობაში და ჩართული არიან სტრატეგიის განხორციელებაში, მონიტორინგასა და შეფასებაში		ფუნქციონირებს და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მაღალი შეფასება აქვს არასამთავრობო ახალგაზრდული სექტორის მხრიდან

მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობა განვითარებულია

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 4. ახალგაზრდული საქმიანობა	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართულია არიან	უცნობია	

განვითარებულია		ახალგაზრდულ საქმიანობაში		
ამოცანა 4.1. შექმნილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები	2026	ა) ახალაგზრდების რაოდენობა, რომელთაც იციან, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს ფიზიკური სივრცე (ოთახი, შენობა), რომელიც გამოყოფილია ახალგაზრდებისათვის	30.4% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ახალგაზრდული სივრცით (რეგულარულად ან რამდენჯერმე)	24.0% 43.7% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 4.2. ახალგაზრდებისთვის გაზრდილია ხელმისაწვდომობა ხარისხიან ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამებზე, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში (რეგულარულად ან რამდენჯერმე)	16.6% 38.5% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ ამ აქტივობების ხარისხს (ძალიან დადებითად ან დადებითად)	20.3% 57.0% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 4.3. ახალგაზრდებს აქვთ მობილობის აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობები	2026			
4.4. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი გაძლიერებული და განვითარებულია	2026	სერტიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა	0	

მიზანი 5. ახალგაზრდები ცხოვრობენ უსაფრთხო, ინკლუზიურ და არაძალადობრივი გარემოში

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი (2020)	საბოლოო მაჩვენებელი
მიზანი 5. ახალგაზრდები ცხოვრობენ უსაფრთხო, ინკლუზიურ და არაძალადობრივი გარემოში	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც არ სურთ მუნიციპალიტეტიდან წასვლა	49.0% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 5.1. მხარდაჭერილია სპეციალური საჭიროებების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობას	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც უმცირესობათა უფლებების დაცვას პრობლემურად ან ძალიან პრობლემად აფასებენ	40.0% 11.8% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ადაპტირებულ გარემოს ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	38.0% 12.1% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 5.2. მხარდაჭერილია ახალგაზრდების ცნობიერების დონის გაზრდა გენდერული თანასწორობის შესახებ	2026	ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც კაცებსა და ქალებს შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას პრობლემურად ან ძალიან პრობლემად აფასებენ	44.0% 11.5% (ახალგ. კვლევა 2020)	
ამოცანა 5.3. მხარდაჭერილია ახალგაზრდებში არაძალადობრივი და უსაფრთხო კულტურის ჩამოყალიბება, ხოლო ის ახალგაზრდები, რომლებიც ძალადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ, უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მხარდაჭერით	2026	ა) ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ძალადობის პრევენციას ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	33.4% 7.6% (ახალგ. კვლევა 2020)	
	2026	ბ) ძალადობის მსხვერპლი ახალგაზრდების რაოდენობა და ახალგაზრდების რაოდენობა, რომელთაც ძალადობის აქტი ჩაიდინეს		
	2026	ოჯახში ძალადობის შემთხვევები, რომლებიც ახალგაზრდებმა ჩაიდინეს ან ახალგაზრდები იყვნენ მსხვერპლი		

9. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია სამოქმედო გეგმა. ის მოიცავს კონკრეტულ და დროში გაწერილ აქტივობებს, რომლებიც ამოცანებისა და მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს და სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების მოცულობის საკითხი ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის ორგანოების მსჯელობისა და დამტკიცების საგანი იქნება.

სტრატეგიის საერთო მართვაზე, განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალურ უწყებას, რომლის კომპეტენციაშიც იქნება ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდებს, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე და ნაკლებად აქტიურებს, ჰქონდეთ სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობის სრული შესაძლებლობა. ისინი არამხოლოდ მუნიციპალური აქტივობების, სერვისების და პროგრამების ბენეფიციარები არიან, არამედ ჩართული იქნებიან პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაშიც.

მუნიციპალური სამსახურები და ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან სტრატეგიის განხორციელებაზე მათი საქმიანობისა და კომპეტენციის სფეროების მიხედვით. ისინი გაითვალისწინებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული პროგრამები, სერვისები და აქტივობები შესაბამისობაში იყოს სტრატეგიასთან იმ შემთხვევებშიც კი, თუ ისინი არაა მითითებული სტრატეგიაში.

ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების ძალისხმევით. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევის პარალელურად, უმნიშვნელოვანესია, ასევე, სხვა სექტორის მხარდაჭერაც. სხვა მნიშნველოვანი აქტორები, რომელთაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სტრატეგიის განოხრციელებას, არიან: საქართველოს მთავრობა და შესაბამისი სამინისტროები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, ბიზნესი, მედია და მკვლევარები.

სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

მუნიციპალიტეტი განახორციელებს სტრატეგიის მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებას ახალგაზრდებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობით. ამ მიზნით რეგულარულად შეგროვდება სარწმუნო მონაცემები როგორც ბენეფიციარებიდან, ასევე აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციებიდან და ჩატარდება შესაბამისი კვლევები. კვლევისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე მოხდება სტრატეგიის გადახედვა, ადაპტირება და სრულყოფა, რომ უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური შედეგების მიღწევა. ამ პროცესში

ყველა ეტაპზე ჩართული იქნებიან როგორც ახალგაზრდები, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის დაინერგება რიგი მექანიზმები:

- ყოველი წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტი გამოაქვეყნებს სამოქმედო გეგმის წლიურ ანგარიშს. რომელიც შეაფასებს სტრატეგიის განხორციელების შედეგად მიღწეულ პროგრესს. ანგარიშში ასახული იქნება განხორციელებული აქტივობები, მომავალი წლის გეგმები;
- ანგარიშის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიაში შევა ცვლილებები და დამატებები - სარწმუნო მონაცემების, მათი ანალიზისა და მიღებული გამოცდილების შედეგად დაინერგება ახალი აქტივობები და მიდგომები და გაუმჯობესდება მიმდინარე. სტრატეგია იქნება მოქნილი, ახალგაზრდების საჭიროებებსა და პრობლემებზე ორიენტირებული;
- 3-წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ განხორციელდება სტრატეგიის საბოლოო შეფასება. ანგარიში შეაჯამებს სტრატეგიის განხორციელების წარამტებას მისი ხედვისა და მიზნების შესაბამისად. საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით მოხდება ახალი დოკუმენტის შემუშავება და მიღება.

სტრატეგიის განხორციელების ამსახველი ანგარიშები განსახილველად წარედგინება საკრებულოს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს, რომ მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი იყოს, მოხდეს მათი საჯარო განხილვა ახალგაზრდებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.